ბორჯომი

27 იანვარი
ხუთშაბათი
2022 წელი
№4 (9214)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

დიდი სიხარული

19 იანვარს სრულიად მართლმადიდებლურმა სამყარომ, მათ შორის საქართველომ აღნიშნა ნათლისღების დღესასწაული. დიდი აიაზმა - წყალკურთხევისას ნაკურთხი წყალი მთელი წლის მანძლზე ინარჩუნებს მადლს.

2022 წელს ისტორიული ფაქტის წინაშე დავდექით ქართველი ერი: საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საზეიმოდ განაცხადა, რომ იორდანიის სახელმწიფომ საქართველოს გადაცა მიწა მდინარე იორდანესთას, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ. ჩვენი პატრიარქის კურთხევით აქ აშენდება ქართული კულტურის ცენტრი.

300 წლის შემდეგ ჩვენი ქვეყანა ბრუნდება წმინდა მიწაზე.... ოდესღაც კი, ქართული კულტურული კერები იქ, შორეულ იერუსალიმში დაიკეტა და განადგურდა, ბერები დევნილნი გახდნენ. ამ საუკუნეობრივი დისტანციის ფონზე ჩვენთვის ეს სრულიად წარმოუდგენელი რამ იყო, თუმცა სასწაულები ხდება... ჩვენი ერის მამამ - ილია მეორემ ეს შეძლო თავისი მადლითა და სასწაულებრივი ძალით. იქნებ, გამოდევნილი აფხაზეთის ხალხიც დაუბრუნდეს თავის მიწას, როცა ასეთი ისტორიული ფაქტების წინაშე ვდგებით, ესეც ადვილი წარმოსადგენია, რატომაც არა?!..

მისი უდიდებულესობის, იორდანიის მეფე აბდულა მეორისა და მისი უმაღლესობის, პრინც ღაზის მიერ გადაწყვეტილებით, იერუსალიმის პატრიარქის - თეოფილეს, იორდანიის არქიეპისკოპოს ქრიტეფორეს გადაწყვეტილებით მოხდა ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომლის წიაღში ჩვენი უძველესი კულტურის, რწმენისა და ხალხის უზომო პატივისცემა ჩანს. მოგეხსენებათ, ისრაელი არის ქვეყანა, სადაც მიწა ყველაზე მეტად ფასობს და ამ დროს წინაპართა დიდი ტრადიციის გაგრძელებაზე ფიქრსა და ქმედებას იწყებენ.

სვანურად ნათლისღებას „ლიიურდან“ ჰქვია - ანუ, იორდანობა. არც ეს მგონია შემთხვევითი, ჩემო მკითხველო. მრავალს დაესწარით!

მონიკა ჟანგურია

,,ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ამ თანამდებობაზე კონკურსის წესით ეკატერინე ორჯონიკიძე დაინიშნა.

ეკატერინე ორჯონიკიძე, 2019 წლის იანვრიდან 2021 წლის ბოლომდე სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში პირველადი სტრუქტურული ერთეულს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურს ხელმძღვანელობდა. ხოლო, 2018 წლიდან იყო საორგანიზაციო სამმართველოს უფროსი, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში. 2014 წლიდან დღემდე საქართველოს სათხილამურო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია.

2013-2014 წლებში მუშაობდა საქართველოს საელჩოს ჩეხეთის რესპუბლიკაში მრჩეველად განათლებისა და კულტურის საკითხებში.

იგი 2010-2012 წლებში მუშაობდა გერმანული ენის პედაგოგად, ქალაქ თბილისის ევროპულ სკოლაში.

2005-2012 წლებში იყო გერმანული ენის კათედრის ხელმძღვანელი, კერძო სკოლა-კომპლექს სადუნ-ში.

1992 - 2001 წლებში მუშაობდა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტში გერმანული ენის პედაგოგად.

1991-1992 წლებში მუშაობდა თბილისის მე-4 გიმნაზიაში, გერმანული ენის პედაგოგად.

2016 წელსს ეკატერინე ორჯონიკიძემ დააფუძნა ქალთა საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია - „ქალები ქალისთვის“.

ეკატერინე ორჯონიკიძემ დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გერმანისტიკის სპეციალობით, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

,,ბენეფიციარებს მუდმივი ყურადღება და თანადგომა

2022 წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია, ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბენეფიციარების მკურნალობის დაფინანსების პროგრამას აგრძელებს.

● პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სადიაგნოსტიკო კვლევა, ოპერაციული მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა. მაქსიმალური გასაცემი თანხა შეადგენს 2500 ლარს.

● დაფინანსებისთვის საჭიროა, რომ პაციენტმა წარმოადგინოს ფორმა №100 და ანგარიშ-ფაქტურა, შესაბაისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული.

● ბორჯომის მუნიციპალიტეტის წლის ბიუჯეტიდან ონკოლოგიურ პაციენტებისათვის 21 7897 ლარი დაიხარჯა, აღნიშნული თანხით 276 ბენეფიციარმა ისარგებლა.

● **ბორჯომის** მუნიციპალიტეტში, სტაციონარული სამედიცინო მომსახურეობის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ფინანსური დახმარების პროგრამა გრძელდება.

● **აღნიშნული** პროგრამით 100%-ით დაფინანსდებიან ის პირები, რომლებიც რეგისტრირებული არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სარეიტინგო ქულა 0-დან 160 000-მდე. მაქსიმალური გასაცემი თანხა შეადგენს 5000 ლარს.

● **ბენეფიციარებს,** რომელთა სარეიტინგო ქულა 160 000-დან 200 000-მდე აქვთ მინიჭებული დაფინანსდებიან 100%-ით. მაქსიმალური გასაცემი თანხა შეადგენს 3000 ლარს.

● **ბენეფიციარები,** რომლებიც არ არიან რეგისტრირებული „სოციალურად დაუცველი ერთიანი ოჯახების ბაზაში, მაგრამ საჭიროებენ სამედიცინო სტაციონარულ მომსახურებას დაფინანსდებიან 70%-ით, მაქსიმალური გასაცემი თანხა შეადგენს 2000 ლარს.

● **ბორჯომის** მუნიციპალიტეტის მერია, სრულ დახმარებას გაუწევს „C ჰეპატიტით დაავადებულ პაციენტებს (სახელმწიფო პროგრამის მოქმედების ვადით), აუტისტური სპექტრის, დაუნის სინდრომის მქონე პაციენტებს და მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვებს. ასევე, 100%-ით დაფინანსდებიან დედმამით ობლები, მრავალშვილიანი ოჯახის წევრები, 18 წლამდე შშმ პირები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები, ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი შშმ ვეტერანები და ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურზე ავარიულ სიტუაციების ლიკვიდაციების მონაწილეები. მაქსიმალური გასაცემი თანხა 3000 ლარს შეადგენს .

● **ბენეფიციარების** სტაციონარული დაფინანსება წელიწადში ერთხელ. მოხდება სამედიცინო დაწესებულების მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

,,ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო წრეებს 100% აფინანსებს

ბორჯომის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში და დაბა წაღვერის კულტურის სახლში მოსწავლე-ახალგაზრდების სწავლის დაფინანსება გრძელდება.

2022 წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო წრეებს 100% აფინანსებს.

მოსწავლე-ახალგაზრდები სწავლის საფასურს არ გადაიხდიან შემდეგ წრეებზე:

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი

გობელინი;
საბავშვო თეატრი;
ტისრული მინანქარი;
ხატვა, ხაზვა, გრაფიკა;
მხატვრული კითხვა;
საესტრადო სიმღერა;

შოთა რუსთაველის სახელობის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი

ხატვა;

წაღვერის კულტურის სახლი

თეატრალური სტუდია;
ქარგვა;
ვოკალური ჯგუფი;
ქორეგრაფიული ანსამბლი „სამეფო.

2021 წელს, აღნიშნული პროგრამით 115 მოსწავლემ ისარგებლა.

რაჭრეჯ-შუღრ ე-უდმიეი ბომეირიეგი ბჟლი-ურობგენ

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე **მამუკა ლურსმანაშვილი,** ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარე **ლევან თედიაშვილი,** ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე **მამუკა ხითარიშვილი** და ამავე კომისიის წევრები საფეხბურთო კლუბ „ბორჯომი-2013“-ის ხელმძღვანელს **კობა თედიაშვილს** შეხვდნენ.

საკრებულოს დეპუტატები ადგილზე გაეცნენ საფეხბურთო კლუბში არსებულ მდგომარეობას.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **სალომე თედელური,** ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს თავმჯდომარე **ლევან თედიაშვილი,** ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე **მამუკა ხითარიშვილი** და საკრებულოს დეპუტატები, ა(ა)იპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელს **ვაჟა გელაშვილს** შეხვდნენ.

საკრებულოს დეპუტატები ადგილზე გაეცნენ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მომსახურების ცენტრში არსებულ მდგომარეობას.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომა გაიმართა. სხდომას კომისიის თავმჯდომარე მაკა მანჯავიძე უძღვებოდა.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ფერაძე** და საკრებულოს დეპუტატები.

სხდომაზე განხილული იქნა, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის პროექტი, ასევე იურიდიულ საკითხთა, საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის, გარემოს დაცვის და აგრარულ საკითხთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დებულების პროექტები.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში, უხვი ნალექის გამო, გზების გაწმენდითი სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება. მთელი ღამის განმავლობაში თოვლის საფარისგან იწმინდებოდა სოფლებამდე მისასვლელი საავტომობილო გზები და შიდა საუბნო გზები, იყრება ტექნიკური მარილი.

აქტიური და მიზანმიმართული მუშაობის შედეგად არ შეფერხებულა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა. ასევე მიმდინარეობს ტროტუარების გაწმენდა. მოვუწოდებთ მოსახლეობას, ბანკების, აფთიაქების, მაღაზიებისა და კერძო დაწესებულებების ხელმძღვანელობას იზრუნონ საკუთარი ტერიტორიების თოვლისგან გაწმენდისათვის, რათა ადამიანებს არ შეექმნათ გადაადგილების პრობლემები.

მოვლენების კვალდაკვალ

რუსეთის სანიფათო ულტიმატივები

ამ ხუთიოდე წლის წინ, როცა ერთ-ერთ რუსოფობ მათემატიკოს პუბლიცისტთან პოლემიკას ვმართავდი რესპუბლიკური გაზეთების: „საქართველო და მსოფლიოს“-ს და „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე (ბუნებრივია, გაზეთ „ბორჯომის“ ფურცლებზეც), მაშინ ვწერრდი: „თავის დროზე ამერიკა და ნატო შეპირდნენ რუსეთს (ადრე - საბჭოთა კავშირს), რომ შეიარაღებას აღმოსავლეთ ევროპაში არ განალაგებდნენ, მაგრამ (აგერ) რაკეტები და ტანკები შემოუწყო მის დასავლეთ საზღვრებს... საქართველოც სადგისის ფუნქციისთვის სჭირდება ამერიკას, რათა რუსეთს წარამარა უჩხვლიტოს ხოლმე ერთ უხერხულ ადგილზე... ჰოდა, მომავალში (რუსეთმა) შეიძლება ველარ მოუთმინოს პატარა საქართველოს, თუ ნატო (იგივე ამერიკა) აქ სამხედრო ბაზების განლაგებას მოინდომებს“. მაშინ ვთქვი, რომ რუსეთი ამ საკითხს კიდევ წინ წამოწევდა. ისე აგიხდეთ ყველაფერი!

მადლობა ღმერთს, ამ 4-5 წლის განმავლობაში ნატოს სამხედრო ბაზების განლაგება არ დაუწყია (თუმცა დიდი სურვილი აქვს), არც რუსეთის ჯარებია ისევ მომდგარი ჩვენს ჩრდილოეთ საზღვართან, მაგრამ სამაგიეროდ, რთულადაა საქმე უკრაინა-რუსეთის საზღვართან. აქ რუსეთის 100-ათასიანი სამხედროა მობილიზებული ვითომ „წვრთნებისათვის“ და ზოგიერთმა ქვეყანამ უკრაინაში მცირე მასშტაბით იარაღის შეტანაც დაიწყო.

გასული წლის მიწურულს ბაიდენის და პუტინის მეტად მნიშვნელოვანი, საყურადღებო შეხვედრა შედგა. რუსეთის პრეზიდენტმა ამერიკას და ნატოს **ულტიმატუმი წაუყენა: უნდა მოგვცეთ დაუყოვნებლივ მყარი გარანტია იმისა, რომ ნატო არ გაფართოვდება აღმოსავლეთისაკენ და სამხედრო ბაზებს არ განალაგებთ უკრაინაში, საქართველოში და მოლდავეთში და ამ სახელმწიფოებს არც თავის წევრებად მიიღებთო.** პუტინი ამბობს: „არც ერთი დიუმი აღმოსავლეთისაკენ“, — გვითხრეს 90-იან წლებში, მაგრამ თავხედურად მოგვატყუეს. რუსეთსა და პოლონეთში შესაბამისი სისტემები განათავსეს, ახლა უკრაინაც უნდათ... ჩვენ არც აშშ-თან მივსულვართ, არც დიდ ბრიტანეთთან, ჩვენთან მოვიდნენ“...

მართალია ეს კაცი! მათ სურთ ალყაში მოაქციონ რუსეთი, ძალით თუ „ნებით“ დაიჭყრონ და რუსეთის უზარმაზარი ბუნებრივი რესურსები მიიტაცონ და აითვისონ. ასეთია ამერიკელი და ევროპელი **ბურჟუებ-ის** (ბიზნესმენების) **მგლური კანონი: დედამიწაზე არსებული ყველა სიმდიდრე მათ ხელში უნდათ რომ იყოს!** (რუსეთის ბუნებრივი რესურსები მსოფლიო რესურსების 40%-ს შეადგენს!).

იანვრის პირველ ნახევარში კიდევ შედგა რუსეთ-ამერიკის, რუსეთ-ნატოს და რუსეთ-ეუთოს შეხვედრები. ორივე მხარე თავის პოზიციებზე დგას, არც ერთი ჯერეჯერობით არაფერს არ თმობს.

ერთ-ერთი ქართული ფილმიდან ხომ გახსოვთ ფრაზა: „მე ის თამრო აღარა ვარ“... რუსეთიც აღარ არის ის, რაც, ვთქვათ, 4-5 წლის წინ იყო! დასახელებული მოლაპარაკებების დროს რუსეთმა ჰიპერბგერითი რაკეტა გამოსცადა და ამით დასავლეთს მიანიშნა, რომ სხვანაირი ძალის მქონე სახელმწიფოსთან აქვთ საქმე. ფაქტია, რუსეთმა ჩინეთთან ერთად აშშ-ს მსოფლიოს ჰეგემონობა წაართვა.

რა მოხდება, თუ ნატო კვლავ გააგრძელებს გაფართოებას აღმოსავლეთით და იარაღის შეტანას და ბაზების განლაგებას შეეცდება (დაიწყებს) უკრაინაში, საქართველოში და მოლდოვაში? — დიდი ალბათობით, ომი დაიწყება! რა მასშტაბის იქნება ეს ომი, ძნელად წარმოსადგენია, მაგრამ რუსეთი რომ არაფერს დათმობს, ესეც ცხადია!

მაშინ რა დაემართება ჩვენს პატარა საქართველოს? ადრეც ვწერდი: აქლემების ცხუბში კოზაკები იჭყლიტებიან. ვაითუ, ასე გაიჭყლიტოს საქართველო...

ეს რომ არ მოხდეს, ჩვენმა ხელისუფლებამ, აგრეთვე ოპოზიციამ თავი უნდა ანებოს ნატოში ინტეგრაციაზე ფიქრს! უნდა იყვნენ (ვიყოთ) რეალისტები!.

ორი კვირის წინანდელ ჩემს წერილში „რაში ვეთანხმები და რაში არა ჩვენს პრეზიდენტს, ქ-ნ სალომე ზურაბიშვილს დავუსვი კითხვა: „რეფერენდუმი არასოდეს ჩაგიტარებიათ და საიდან ასკვნით, რომ მოსახლეობის 80 პროცენტი მხარს უჭერს ევროინტეგრაციას?“ (ეს წერილი „საქართველოს რესპუბლიკაშიც“ დაიბეჭდა). **ჩაატარონ რეფერენდუმი!** რიგგარეშე არჩევნები კი არა, რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვოს ოპოზიციამაც და მთელმა მოსახლეობამაც. რატომ ეშინიათ, რატომ არ უნდათ რეფერენდუმის ჩატარება ამ და სხვა საკითხებზე?

ევროპულ ყველა სახელმწიფოში თითქმის ყოველ წელს ტარდება (ზოგჯერ 2-3-ჯერაც!) რეფერენდუმები! რატომ არ უნდათ და თურმე „ეშინიათ“ ამერიკის, კერძოდ, ამერიკის ელჩის ქ-ნ კელი დეგნანის, რომელიც ადრეული მეფისნაცვალივით თუ ცეკას მეორე მდივანივით გვიზის თბილისში!

სწორედ დასავლეთმა მიაღწია იმას, რომ რუსეთი-სადმი სიძულვილის ისტერია (ფაშიზმი) გამეფებული ჩვენს ქვეყანაში. რუსეთში „მტრის ხატის“ შექმნა დაავალეს საქართველოში მოქმედი და მსუყედ დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათგან მოსყიდულ ტელევიზიებს და ამას ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც. ამის გამოა, რომ 2008 წლის შემდეგ **არ დაწყებულა დიალოგი რუსეთთან.** როცა პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა საჯაროდ თქვეს: რუსეთთან შესაძლებელია დიალოგის დაწყება, თურმე დასავლეთიდან (ამერიკიდან) შემოუთვალეს: არა, ეგ „შეუძლებელიაო“(!).

სწორედ ამ მიზეზით არ ჩაერთო საქართველო ფორმატში „3+3“, სადაც გაერთიანებული უნდა ყოფილიყო სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო და სამი დიდი სახელმწიფო: რუსეთი, თურქეთი და ირანი. დავაკვირდეთ რუკას:

საქართველო ამ სახელმწიფოების შუაშია მოქცეული. **როგორ შეიძლება ეს სახელმწიფოები ერთმანეთში ეკონომიკურ საკითხებს აგვარებდნენ და საქართველო არ იყოს მათში ჩართული?** ჩვენმა პოლიტიკოსებმა ნუთუ ვერ უნდა განსაზღვრონ ის უამრავი **სარგებელი,** რომელიც შეიძლება ამ ფორმატში ჰქონდეს საქართველოს? „რუსეთის გვერდზე არ დავჯდებითო!“. სომხეთს და აზერბაიჯანს გასულ წელს ერთმანეთთან ომი ჰქონდათ, **მაგრამ ერთმანეთის გვერდზე სხედან!** 10 დეკემბერს პირველი სხდომა მოსკოვში გაიმართა, საქართველო არ დაესწრო, თუმცა ჩვენი დროშა მაინც გამოფინეს. თვითონ რუსეთი ეხვეწება საქართველოს: რაღაც სარგებელს თქვენც მიიღებთ, თუნდაც პოლიტიკური პოზიცია არ შეიცვალოთო! ანალიტიკოსებმა მიანიშნეს საქართველოს ხელისუფლებას: **ამ ფორმატში ცალკე აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რომ არ მიიწვიეს, თქვენთვის არაფერს ნიშნავსო?** შეიძლება ამ ფორმატში აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნების საკითხიც დააყენოთ და პირველად ლტოლვილების დაბრუნება მოითხოვოთო.

ნუთუ ეს შანსი საქართველომ ხელიდან უნდა გაუშვას?

ასე, რომ კითხვაზე: საით უნდა წავიდეს საქართველო?, - უნდა ეპასუხოს ასე: **უნდა წავიდეს თავის თავისკენ!** ანუ პირველ რიგში მეზობლებთან ურთიერთობით მეტი რაღაც სარგებელი მიიღოს და ისე გაძლიერდეს, როგორც სახელმწიფო! ხომ ვხედავთ, „ოკეანის გაღმელმა“ „სტრატეგიულმა პარტნიორმა“ აქამდე, ამ 25 წელიწადში ვერაფერი გვიშველა, ვერაფრით დაგვეხმარა (ასევე ევროპა) და სავარაუდოდ მომავალშიც ვერაფერს გვიშველის. ამით უბრალო ხალხის პოზიციას (ფიქრს) ვახმოვანებ, თორემ საქართველოს პოლიტიკურ ელიტას, პოზიციას თუ ოპოზიციას „თავი ქუდში აქვს“, მოწყობილი აქვთ ცხოვრება და სხვების დარდი ნაკლებად აქვთ...

უჩა ჯანგირაშვილი.

P.S. **რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი და აშშ-ს სახელმწიფო მდივანი 22 იანვარს კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ამერიკის მხარემ თქვა: ერთ კვირაში ჩვენს წინადადებებს წარმოგიდგენთო. ვნახოთ, რა მოხდება.**

ადამიანები სოფლებიდან

ცხოვრება მთაში

პატარა მიტარბი ახლა თეთრ ბურუსშია გახვეული. იქ ისედაც ცოტა ოჯახი ცხოვრობს, რომელთა შორის ერთი საოცარი გულის პატრონი მოხუცი ალმოაჩინა პირველი არხის ჟურნალისტმა.

73 წლის **ნუგეშა ჯანელიძე** მზის ამოსვლას გაღვიძებას ასწრებს. თეთრად დათოვლილ სოფელში, ყოველ დილით გაუკვალავ თოვლში ჩნდება წითელხალათიანი ბებო, რომელიც პირველ ნაფეხურებს ტოვებს. შრომობს თვდაუზოგავად — დილის 6 საათიდან გვიან ღამემდე. ეს არის სოფელი, სადაც მკაცრი კლიმატური პირობები და მძიმე სოციალური პრობლემებია და თავის გადარჩენის ერთადერთი გზა სოფლის მეურნეობაა. სეცდიანი გამოხედვა აქვს, რომელშიც დიდი ტკივილი იკითხება. წლების წინ უფროსი შვილი გარდაეცვალა, ახლა კი მეორე შვილი მძიმე სენს ებრძვის. 52 წელია, რაც ერთად მოდიან ნუგეშა ბებო და მისი მეუღლე. გადარჩენის გზად მას სიყვარული მიაჩნია. ამ სოფელში სულ რამდენიმე ხანდაზმულია შემორჩენილი. მას თავისი სახელითა და გვარით შეიძლება არ იცნობენ, უფრო მეტად ცხენოსან ბებოს ეძახიან ბორჯომის მუნიციპალიტეტში. წაღვერამდე რძის პროდუქტების ჩატანა ცხენით უწევს 9 კილომეტრი. ცხენზე ამხედრებულ ჯინსიან ქალს ტურისტებიც ცნობენ: უღებენ ფოტოებს, ეფერებიან.

„ნუგეშა მქვია სახელად,
ჯანელიძე ვარ გვარადა,
სუყველას ჩემი ყველი სურს,
ვინც კი აზროვნებს საღადა;
მომინახულეთ მოხუცი,
ყველი იგემეთ თავადა,
მიტარბში თუ მომაკითხავთ,
არ დაგიხვდებით მწყრალადა“.

— „ჯერ ცეცხლს დავანთებ, შემდეგ მივდივარ ბოსელში, მოვუვლი პირუტყვს. იქიდან დაბრუნებული კი ვუვლით ჩვენ თავს. მეწველი ძროხა მყავს ექვსი, ხბორები მყავს ოთხი, ხარები მყავს, ცხენები. დაახლოებით, დღეში 60 ლიტრი რძე მაქვს. წაღვერში მიმაქვს, რაც კი ნამეტი მაქვს ოჯახში: ყველი, მაგით ვარჩენ ოჯახს. ძროხა თუ არ იყოლიე აქ, მშიერი მოკვდები. აი, ხომ ხედავთ, როგორ სახლში ვცხოვრობ — წყალი ჩამომდის. გამგებელსაც ვუთხარი, დამპირდნენ კიდეც — თუნუქს მოგცემო, მაგრამ რად მინდა მხოლოდ თუნუქი, მასალა თუ არ მოვიპოვე. მასალაზე უარი მითხრეს. ოჯახში შვილი მყავს ავადმყოფი — სიმსივნე აქვს, ორჯერ გავუკეთე ოპერაცია, მაგის გულისთვის ვწვალობ. დედის გული ხომ იცით, რა არის. ერთი დავკარგე და აღარ მინდა მეორეც დავკარგო. მე სანამ ვიქნები, მინდა იცოცხლოს და მერე რაც იქნება — მე არ დავინახავ. შვილის დაკარგვის სიმწარეს არაფერი არ გადაწონის. მაგაზე მწარე ცხოვრებაში არაფერი არ არის. რაც გინდა გადაიტანოს ქალმა, ყველაფერს გაუძლებს, მაგას — არა. ყველა ქალს ვუსურვებ ჩემნაირი ბედი არ ჰქონდეთ, ჩემნაირად იბრძოლონ, რომ შეინარჩუნონ ჯანმრთელობა, სიყვარული. სილამაზე დავკაეგე — შვილის დარდმა დამაკარგინა. ჯავრი ყველაზე ცუდია. შრომა არ მოგკლავს, გულისტკივილი მოგკლავს! არ ეწყინოს მამაკაცებს და ჩვენ — ქალები უფრო გამძლეები ვართ. ისინი სუსტი არსებები არიან:

მოვლა და მოფერება სჭირდებათ. თუ არ მოეფერე, არ მოუარე — უძლურები არიან. დედაკაცის გარეშე არაფერი არ არიან. აქ, მთაში უფრო მამაცები ვართ — შეგუებულები ვართ ამ ყველაფერთან. საქმეში შეიძლება მე უფრო მთავარი ვარ, თორემ ისე ვინ გაგიშვებს მთავრად. ქმარ-შვილი თუ გიყვარს, კლდეს დაანგრევ. ადამიანი ადამიანით არის. მასთან ურთიერთობაა სიყვარული. მხოლოდ ღმერთის სიყვარული კი არა, ყველა მიყვარს, ვისაც ვუყურებ. წაღვერში რომ ჩავდივარ, იქ ენას მოვიფხან ხოლმე, მიყვარს ადამიანებთან ურთიერთობა. ცხენით დავდივარ, არაერთხელ შემომღამდა გზაზე. ერთხელ ორი დათვი შემხვდა, გვერდიგვერდ მოდიოდნენ. დამიფრთხა ცხენი და სირბილით ჩამიყვანა ცხენმა. წაღვერში დიდხანს არ ვჩერდები, არ დაგაღამდეს, მგელმა არ შეგჭამოსო. ჩემ ცხენს ჰქვია ბაკუნა. რამდენჯერ გამიჩერებია ცხენი და ვწერ-ხოლმე.

„დღე-და-ღამ ფეხზე ვტრიალებ,
არ მეკარება ძილია,
ქმარი სულ მებუზღუნება -
ენა არა მაქვს ტკბილია,
სიბერის წლებმა მოუსწრო,
მგონი, სულ გადაირია.
საინტერესო ხალხი ვართ,
უსაყვარლესი წყვილია,
მთელი დღე რომ ვიკამათოთ,
არ დაგვეღლება პირია.
თავს არვის დავაჩაგვრინებ,
არა ვარ ჩიტი ნიბლია,
ჩემისთანებზე წიგნს წერდა
დიდი, სულმნათი ილია“.

მასალა მოძიებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის სიუჟეტიდან.

ნუ მივაყენებთ ბავშვებს ზედმეტ ტრავმას

„არ არის საჭირო არანაირი ტესტირება, არანაირი PCR ტესტი. ნუ მივაყენებთ ზედმეტ ტრავმას ბავშვს“, აცხადებს პედიატრი ინგა მამუჩიშვილი, პედიატრმა ვირუსული ინფექციების სეზონზე ბავშვებში ტემპერატურის მატების შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, მშობლებს ყველაზე მეტად კოვიდის ეშინიათ:

„თუ ბავშვს აქვს მაღალი ტემპერატურა, დღევანდელ სიტუაციაში მშობლებს ძალიან ხშირად აინტერესებთ: კოვიდი არ იყოს... პირველი კითხვა, რა თქმა უნდა, ეს არის. თუ ოჯახში ვინმეს აქვს კოვიდი და ბავშვს უდასტურდება ტემპერატურა, ეს უსათუოდ იქნება კოვიდი“.

ინგა მამუჩიშვილის თქმით, ბავშვის ზედმეტი ტესტირებებით დასტრესვა საჭირო არ არის:

„მშობლებს ძალიან ხშირად ვეუბნები ხოლმე, რომ არ არის საჭირო არანაირი ტესტირება, არანაირი PCR ტესტი. ნუ მივაყენებთ ზედმეტ ტრავმას ბავშვს. კოვიდიც ჩვეულებრივად იმართება, როგორც სხვა ვირუსული ინფექციები. მას განსაკუთრებული მკურნალობა არ სჭირდება, თუ ბავშვი არ დამძიმდა“.

„მარტივი ვირუსის სიმპტომებია: ცხვირის გაჭედვა, ცხვირიდან გამონადენი. ეს ძალიან დიდ დისკომფორტს ანიჭებს ბავშვს. ამ შემთხვევაში ცხვირს სჭირდება სანაცია და მოვლა. თუ ვირუსი მოხვდა ყელში, არის ფარინგიტები, ტონზილიტები, წამოხველება. ხშირად არის ხოლმე ხველა და მშობლები კითხულობენ: ჩემს შვილს პნევმონია ან ბრონქიტი არ ჰქონდეს... ხშირად ამის მიზეზი არის ის, რომ ცხვირის შიგთავსის გადადენა ხდება ხახის უკანა კედელზე, რაც ხველის პროვოცირებას იწვევს“, - აღნიშნულ საკითხზე ინგა მამუჩიშვილმა „მთავარი არხის“ გადაცემაში ..შენი დილა“ ისაუბრა.

მინიატურული საწნახელის ავტორი მასშტაბური იდეებით

76 წლის ზაურ ნეშარიძე პროფესიით მშენებელ-ინჟინერია. თიხასთან ურთიერთობა არასდროს ჰქონია იმ დრომდე, სანამ ერთ დღეს გაიღვიძა და მინიატურული საწნახელის დამზადების იდეა აზრად მოუვიდა. მიყვება, რომ ცხოვრებაში არა აქვს მნიშვნელობა რამდენი წლის ხარ, შესაძლოა ნებისმიერ დროს დაიბადოს იდეა და დაიწყო ზრუნვა იმაზე, თუ როგორ და რა გზებით შეძლო შენი იდეის განხორციელება. მის შემთხვევაშიც ასე მოხდა. დაახლოებით 5-6 წლის წინ გადაწყვიტა საწნახელის დამზადება და სანამ დაამზადებდა, თითქმის ერთი წლის მანძილზე მოანდომა იმის შესწავლას და კვლევას, თუ რამდენი დასახელების თიხა არსებობდა საერთოდ, იმას თუ რომელი თიხა იყო შესაფერისი კარგი საწნახელის დასამზადებლად, რა დრო დასჭირდებოდა მის გამოწვას და საბოლოო სახით დამზადებას. სპეციალურად წავიდა შროშაში, სადაც საქართველოში თიხის ყველაზე გამოცდილი ოსტატები ცხოვრობენ, თუმცა საბოლოოდ ბატონ ზაურს რუსთავში მცხოვრებმა თიხის ოსტატმა შეასწავლა ყველაფერი, თუ რა იყო საჭირო კარგი თიხის დასამზადებლად. შესწავლისა და ძიების პროცესში აბასთუმნის თიხაც შესთავაზეს, რომელიც ფერად თიხას წარმოადგენს, თუმცა საბოლოოდ არჩევანი ქსნის თიხაზე შეაჩერა. ერთი მინიატურული თიხის დასამზადებლად ჯამში 200-250 გრ. თიხა სჭირდება. საწნახელის ზომა 17 სანტიმეტრს შეადგენს. გამოსაწვავი ღუმელის მოწყობაც უდიდეს ცოდნას მოითხოვს, რადგანაც სრული სიზუსტეა საჭირო, რათა შესაბამის ტემპერატურასა და გარკვეულ დროზეა დამოკიდებული, რომ თიხა გამოიწვას. თიხის გამოწვას სამი საათი მაინც სჭირდება და ერთ გამოწვაზე შესაძლებელია 40 ცალი მინიატურული საწნახელი მოათავსოს გამოსაწვავ ღუმელში. 16 სანტიმეტრი სიგრძისა და 6 სანტიმეტრი სიგანის მქონე საწნახელის გარდა ამზადებს კიდევ უფრო მცირედი ზომის, თითქმის 8 სმ სიგრძისა და 3 სანტიმეტრი სიგანის მქონე საწნახელებს. რეალიზაციას სხვადასხვა დღესასწაულებზე,



გამოფენებზე ახდენდა და წლების წინ ფასი 5 ლარს შეადგენდა. წელს უკვე მისი ფასი განსხვავებული იქნება (15 ლარს შეადგენს). ამბობს, რომ ყველაფერი გაძვირდა (საწვავი, ელექტროენერგია). თიხის ტრანსპორტირებისთვის საწვავია საჭირო. გამოსაწვავი ღუმელიც თითო ჯერზე 4-5 ლარის ელექტროენერგიას საჭიროებს. ფლობს ორი პატენტის დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელთაგანაც ერთი მინიატურული საწნახელია, ხოლო მეორე სტანდარტული ზომის ტრადიციული საწნახელია, რომლის დასამზადებლადაც პროდუქტების შესანახად განკუთვნილი პლასტმასია საჭირო. ბატონმა ზაურმა საქპატენტის სახელით უკრაინაში მიაკვლია საწარმოს, სადაც ყველანაირი ზომისა და ფორმის პლასტმასის ნაკეთობებს ამზადებენ, თუმცა ეს ყოველივე დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. იყო სოფლის მეურნეობის სამინისტროში, მეცნიერებათა აკადემიაშიც, სადაც იდეა გააცნო კიდეც კომპეტენტურ პირებს. შესაბამის ორგანოებშიც იყო მისული, თუმცა იდეის განხორციელებას თანხები სჭირდება, რაც ჯერჯერობით მას არ გააჩნია. ბატონ ზაურს სურს, თავისი პატენტი ავტორობის დაცვის უფლებით ქვეყანას აჩუქოს, ამბობს, რომ აქ მოგებაზე არაა საუბარი, რადგანაც ეს ქართული ტრადიციული ღვინის დასამზადებელი ჭურჭელია და მისი დამზადებაც სწორედ ჩვენ ქვეყანაში უნდა მოხდეს. აქვს კიდევ დამატებით იდეა, რომლის შესახებაც წინასწარ საუბარი არ სურს, გეგმა და ნახაზებიც შედგენილი აქვს. იმედს ვიტოვებთ, რომ ბატონი ზაური საკუთარი იდეების განხორციელებას შეძლებს და ჩვენი ხელისუფლება ყველანაირად გვერდში დაუდგება შესანიშნავი იდეის ავტორს, რომელსაც ნამდვილად უყვარს თავისი ქვეყანა და რომელსაც საკუთარი სამშობლოს გარდა ვერც კი წარმოუდგენია, რომ იდეა სხვა ქვეყანაში წაიღოს განსახორციელებლად. ნათქვამია, იმედი ბოლოს კვდებაო და ბატონი ზაურიც სწორედ იმედიანად და ოპტიმისტურად უყურებს არსებულ საკითხს, რომ იქნებ და დროთა განმავლობაში გამოჩდეს ვინმე ბიზნეს სექტორიდან მაინც, რომელიც თანხით დაეხმარება და მის იდეას ფრთებს შეასხამს.

ნაბო მელიქიძე

გიორგი ბრწყინვალის ძეგლი ახალციხეში

მადლიერმა ქართველმა ერმა მეფეთა ერთ ნაწილს ის კუთვნილი ადგილი მიუჩინა, რასაც ისინი იმსახურებენ. ერმა სიყვარულით მეფე დავითს „ალმაშენებელი“ უწოდა, ალექსანდრეს „დიდი“, ერეკლეს „პატარა კახი“, – ხოლო მეფე გიორგი მეხუთეს – გამორჩეული სახელი – „ბრწყინვალე“ უწოდა.

როგორც ცნობილია, ერთ-ერთ ყველაზე ძნელბედობის ხანაში მოუწია მეფობა გიორგი ბრწყინვალეს, მაშინ, როდესაც დანგრეულ-გაპარტახებულ ქვეყანაში მონღოლთა მძიმე უღლის ქვეშ გმინავდა ერი. სწორედ მის სიმამაცესა და გენიალობაზე იყო დამოკიდებული მტრის ბატონობისაგან ქვეყნის ხსნა და ურჩი თავადების ალაგმვა, რომლებიც ანგრევდნენ და ანადგურებდნენ ქვეყნის მომავალს. სწორედ მისი გამჭრიახი, მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგად ქართველმა ერმა მონღოლთა მძიმე უღელი მოიშორა და ურჩ თავადაზნაურობას თავისი კუთვნილი ადგილი მიუჩინა და გვიჩვენა — მცირერიცხოვანი ერის მკაცრი ხელით გაერთიანების უდიდესი ეროვნული საქმის კეთების მაგალითი.

გიორგი ბრწყინვალის სახელი სისხლხორცეულადაა დაკავშირებული მესხეთთან, სადაც დედულეთში სახელოვანი ათაბაგის — ბექა ჯაყელის დიდმა ოჯახმა აღზარდა და მხსნელად და იმედად მოუვლინა ქვეყანას. სწორედ ამიტომ, ისევ მესხებს ხვდათ წილად ეზრუნათ ბრწყინვალე მეფისთვის ხელთუქმნელი ძეგლის აგება.

ჯაყელთა გვარის ღირსეული შთამომავლის — ომარ ჯაყელის ინიციატივითა და დიდი ძალისხმევით, სამხარეო ადმინისტრაციისა და მერიის აქტიური მხარდაჭერით, მიღწეული იქნა ახალციხეში დადგმულიყო გიორგი ბრწყინვალეს ძეგლი, რომელიც პოტსდამენტიანად შვიდი მეტრის სიმაღლისაა.

ძეგლის გახსნის საზეიმო ცერემონიალი გაიმართა გასული წლის მიწურულს 24 დეკემბერს, სადაც მოწვეულები იყვნენ როგორც რეგიონის თვითმმართველი ორგანოების წარმომადგენლები, პარლამენტში ასპინძის, ადიგენის, ახალციხისა და ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი **ანტონ ობოლაშვილი,** ასევე სტუმრები დედაქალაქიდან.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა სამცხე-ჯავახეთის მხარის გუბერნატორი **ბესიკ ამირანაშვილი,** ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიის მიტროპოლიტი **თეოდორე (ქუთაძე)**, ახალციხის მერი **ირაკლი ლაზარაშვილი,** საქართველოს სკულპტორთა და არქიტექტორთა საზოგადოების თავმჯდომარე **ლევან სალუქვაძე,** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი **მერაბ ბერიძე.**

ძეგლის ავტორია მოქანდაკე **კახა არუნაშვილი.** ღონისძიებას უძღვებოდა მერიის თანამშრომელი **მარინე ჯინჭველაძე.**

ღონისძიების დასასრულს სტუმრებმა ცოცხალი ყვავილებით შეამკეს გიორგი ბრწყინვალის ძეგლი.

საკ. ინფორმაცია

ვიცნობდეთ ჩვენი რაიონის წარსულსა და აწმყოს

ელექტრომრეწველობის განვითარება ბორჯომში

საცდელი ელექტროსადგური რუსეთის იმპერიაში 1895-1896 წლებში აშენდა სანქტ-პეტერბურგის ახლოს, მდინარე ოხტაზე, ხოლო რუსეთის იმპერიაში გაცილებით უფრო მძლავრი სამრეწველო ჰიდროელექტროსადგური 1897-1899 წლებში აშენდა კურორტ ბორჯომში.

ისეთ პატარა პროვინციულ დაბაში, როგორიც მაშინ ბორჯომი იყო, იმ დროისათვის ძლიერი ჰიდროელექტროსადგურის აშენება დიდ მოვლენად ითვლებოდა. ეს უსათუოდ განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ ბორჯომი რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მეორის ძმის მიხეილ რომანოვის სამემკვიდრეო მამულად ითვლებოდა და ცხადია, მან თავისი პირადი ინტერესებისათვის აიშენა მამულში ჰიდროელექტროსადგური.

სადგურისა და სათავე-ნაგებობის მშენებლობა ერთდროულად დაიწყო მდინარე თორის წყალზე, (იგივე ბორჯომულაზე ანუ შავ წყალზე). საკოჭავში მოეწყო სათავე, საიდანაც მდინარე თორის წყალი გადმოყვანილი იქნა ახალ არხში ლიბანისა და სადგერის პლატოს გამოვლით ის ჩაუშვეს მილებში. ამავე დროს ელსადგურთან ახლოს ბორჯომულას ხეობაში გაკეთდა ხელოვნური ჩანჩქერი, რომელმაც კიდევ უფრო დაამშვენა ისედაც ზღაპრულად ლამაზი ხეობა.

არხი აგებული იყო ქვაწყობილისაგან. იგი დღე-ღამეში ატარებდა 3 მილიონ ვედრო წყალს. მთელი არხის სიგრძეზე მოწყობილი იყო 25 შემაკავებელი დასალექი ჭა, რომელშიც ილექებოდა ლამი და თიხა. წყალსაცავი წარმოადგენდა ქვის დიდ აუზს, რომლის ტევადობა 10000 ვედროს აღემატებოდა. ზამთარში წყლის გაყინვის თავიდან ასაცილებლად წყალსაცავი დაფარული იყო ხის შენობით, ცალკე იყო ოთახი სადარაჯო მორიგეებისათვის. მორიგეები თვალყურს ადევნებდნენ აუზში წყლის დონეს და მთელი წყალსადენის საერთო მდგომარეობას.

როგორც აუზი, ისე საყარაულო სამორიგეო ელექტრონით იყო განათებული ცენტრალური ელექტროსადგურიდან წყალსაცავ აუზში და შემდეგ საბოლოო საგუშაგომდე ბორჯომიდან 12 კმ-ის დაშორებით, გაყვანილი იყო ტელეფონი, რომელიც სადგურისათვის თვალყურის დევნების საშუალებას იძლეოდა.

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა (წყალსადენი, ელექტრო განათება და ელექროსადგურის შენობა) იმდროინდელი ფულის კურსით, დაახლოებით 164 000 მანეთი დაჯდა. ამ თანხით აგებული იქნა 12 კილომეტრიანი სიგრძის ცემენტის თაღიანი წყალსადენი. მოეწყო ბორჯომისა და ლიკანის ელექტროგანათება 900 ვარვარების ნათურაზე და 35 რკალურ ფანარზე. სულ 80 00 ვატ. ელექტროენერგიით. 1998-99 წლებში აგებული იქნა ქვის შენობა ორი დიდი განყოფილებისგან გუმბათისებური ჭერით. შუაში იყო ორი ოთახი კანტორის და სახელოსნოსათვის. ყველა დანადგარი, ელექტრომანქანები და ელგანათების მოწყობილობანი ბერლინის ცნობილი ფირმისაგან შეისყიდეს. ელექტროგანათების მოწყობილობა ეკუთვნოდა კიევის ფილიალს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბორჯომჰესის წყალსადენის არხის მშენებლობა დაუწყიათ 1897 წელს, ხოლო ელექტრომოწყობილობის დადგმა-დამონტაჟება 1898 წლის მარტიდან. 1899 წლის 15 იანვარს რომანოვის სასახლე უკვე სარგებლობდა ელექტროენერგიით.

ბორჯომის ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული დენით განათებული იყო მხოლოდ რომანოვების სასახლეები, მათი ამალისა და სხვა წარჩინებულთა ბინები. დენი ასევე გამოიყენებოდა ჩამომსხმელი ქარხნისათვის. მარტო რომანოვების სასახლეში 118 ნათურა ანათებდა. გლეხებს კი არავითარი საშუალება არ ჰქონდათ ელექტროენერგიის ხელმისაწვდომობაზე. მენშევიკების მთავრობის დროს, მიუხედავად კარგი მოწყობილობისა. ელექტროსადგურს არ შეეძლო ელექტროენერგიის მოთხოვნილების მთლიანად დაკმაყოფილება წყლის ნაკლებობის გამო. „ბორჯომჰესს“ გაჩერება ემუქრებოდა. კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ ბორჯომის რევკომმა კონტროლი დააწესა ყოფილი „მამულის“ ქონებაზე. ბორჯომის მინერალური წყლების ჩამომსხმელი ქარხანა და მისი დამხმარე საწარმოები (მათ შორის ჰიდროელექტროსადგურიც) დაექვემდებარა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს, რომელმაც 1921 წლის ნოემბერში დააწესა ტარიფი ელექტროენერგიაზე სახელმწიფო დაწესებულებების, კერძო პირებისა და მუშა-მოსამსახურეებისათვის.

არსებული სიძნელეების გამო, ჰესის მუშაობა ხშირად ფერხდებოდა. ჰესის ექსპლოატაციაზე გაწეული ხარჯები უფრო მეტი იყო, ვიდრე მისი შემოსავალი. ყოველივე ამას შემდგომმა ორგანოებმა სათანადო ყურადღება მიაქციეს. 1928 წელს გერმანიიდან შემოტანილი იქნა ელექტროდანადგარები, „ბორჯომჰესი“ გადაკეთდა და მისი სიმძლავრეებიც გაიზარდა.

„ბორჯომჰესი“ შეძლებისდაგვარად ამარაგებდა ელექტროენერგიით რაიონის მოსახლეობას 1950 წლამდე, ვიდრე მდინარე მტკვარზე არ აშენდა ჩითახევის მძლავრი ელექტროსადგური. ამის შემდეგ „ღვაწლმოსილი“ „ბორჯომჰესი“ კონსერვაციაში დადგა. იგი გადაეცა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, როგორც საექსკურსიო ობიექტი XX საუკუნის 70-იან წლებში მოქმედებდა ბორჯომჰესის და ხალხთა მეგობრობის მუზეუმი.

როგორც აღნიშნული იყო, ამაგდარი ,,ბორჯომჰესი“ ელექტროენერგიით ამარაგებდა ქალაქისა და რაიონის ძირითად საწარმოებსა და კურორტის სანატორიუმებს. მისი მოქმედების პერიოდში რაიონში მიმდინარეობდა მცირეძალიანი საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაც. სოფლის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ძირითადად 1932-1933 წლებიდან დაიწყო.

1932-33 წლებში აშენდა ბალანთის ჰიდროელექტროსადგური, 1935 წლეს დვირის ჰესი. საკოლმეურნეო ელსადგურები აშენდა ანდეზიტში (ბორჯომულაზე) დიდ მიტარბში, ღინტურში და ახალდაბაში, ხოლო 1944-1949 წლებში მტკვარზე აშენდა ჩითახევის მძლავრი ჰიდროელექტროსადგური.

1967-68 წლებში ბორჯომის რაიონში 24 საათის განმავლობაში იხარჯებოდა 90000 კვტ-საათი ელექტროენერგია, ქალაქის ფარგლებში ენთო ათასობით ნათურა, 350 ჩვეულებრივი და 1200 ლუმინესცენციური (დღის სინათლე) ნათურა.

მინდა მკითხველს გავაცნო ამ სტატიის დაწერის მიზეზი. სკოლაში სწავლის წლებში ბორჯომის პიონერთა და მოსწავლეთა რაიონულ სახლთან ჩამოყალიბდა ნოჩ ისტორიკოსთა და მხარემცოდნეთა წრე, რომელსაც სათავეში ედგა ცნობილი ისტორიკოსი, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მეცნიერ-მუშაკი ბატონი გიორგი ხუჯაძე. წრეში გაერთიანებული ვიყავით 20-მდე ისტორიის მოყვარული სკოლის მოსწავლეები, შესწავლილ თემებს კონკურსზე ვაგზავნიდით თბილისში პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, სადაც ხდებოდა წარმატებული ნორჩ ისტორიკოსთა დაჯილდოება დიპლომებით. გუშინდელივით მახსოვს, ,,ბორჯომჰესის“ ისტორიის გამოკვლევისათვის დასაჯილდოებლად გამომიძახეს თბილისში და 1968 წელს პირადად საჩუქარი უშანგი ობოლაძემ გადმომცა წითელი დიპლომი. ჩემთან ერთად დაჯილდოვეს №1 სკოლის მოსწავლეები, რის შესახებაც აღინიშნა გაზეთ „ბორჯომის“ ფურცლებზე, რომლის ერთი ნომერი დღესაც შენახული მაქვს.

მინდა გულისტკივილით აღვნიშნო იმის შესახებ, რომ 90-იან წლებში ვანდალებმა გაძარცვეს ჩვენი ხეობის სიმაყე „ბორჯომჰესი“. ჯართად გაზიდეს ისტორიული დანადგარები. საბედნიეროდ საქართველოს დღევანდელი მთავრობის გადაწყვეტილებით, დაწყებულია ამ მეტად საჭირო ობიექტის აღდგენა-რესტავრაცია, რაც ახარებს მთელი რეგიონის მოსახლეობას. ამჟამად დამთავრდა ძირითადი კორპუსისა და დამხმარე კორპუსის გადახურვა. აღდგა დანგრეული კედლები და უბრუნდება ძველი ისტორიული სახე.

მინდა ვაცნობო ბორჯომის რაიონის მოსახლეობას იმის შესახებ, რომ „ბორჯომჰესის“ აღდგენას ხელმძღვანელობს კომპანია „ივერთმშენი“, რომლის შემოქმედი კოლექტივი დღევანდელ დღეს გარდა ბორჯომისა, აწარმოებს აწყურის ღვთისმშობლის მიძინების აღდგენას. ასევე აწყურის ციხესიმაგრის და სხვა ობიექტების სარესტავრაციო სამუშაოებს. ბორჯომჰესის აღდგენის სამუშაოებზე შრომობენ სამუშაოთა მწარმოებელი **ბორის ბობოხია, მუშები ვალერიან დიასამიძე, იოსებ ბალახაძე, რევაზ ხარაიშვილი, ზურაბ გაჩეჩილაძე** და სხვები.

ობიექტის მშენებლობა უნდა დამთავრდეს 2022 წელს და იგი ერთ-ერთი შესანიშნავი სამუზეუმო და ტურისტული ობიექტი იქნება ჩვენი კურორტ-ქალაქისათვის.

როსტომ ყველიაშვილი,
ბორჯომის ისტორიული პარკის გიდი, ისტორიკოსი.

ვუცოცავთ! თანგული ორთოიძე 75 წლისაა

ბორჯომის ღირსეულ საპატიო მოქალაქეს, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრს, ამავე კავშირის სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, უნიჭიერეს მხატვარ-დიზაინერს, უაღრესად დახვეწილ, კოლორიტულ და განათლებულ პიროვნებას, მრავალი რეგალიების მქონეს, მეგობრობის ბაირახტარს, ბატონ **თანგული ორთოიძეს** ამ დღეებში დაბადებიდან საიუბილეო თარიღი 75 წელი შეუსრულდა. ბორჯომის საზოგადოების სახელით, ამ მართლაც ქვეყნისთვის და რაიონისთვის სიკეთის თესვაში დამაშვრალს, ფართო დიაპაზონის და თვალსაწიერის შემოქმედსა და მოღვაწეს, გულითადად ვუსურვებთ საიუბილეო თარიღს და ჯანმრთელობასთან, დღეგრძელობასთან ერთად ვუსურვებთ ოპტიმისტურ განწყობას, შემოქმედებით და საზოგადოებრივ საქმიანობაში უცილობელ წარმატებას. ბატონ თანგული ორთოიძეზე ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ ის არის ერთი გულმართალი, პატიოსანი, მოკრძალებული და უღალატო შემოქმედი. მისი მდიდარი შემოქმედებითი მოღვაწეობა, რომელიც მოიცავს, როგორც ფერწერულ პორტრეტებს, პეიზაჟებს, ნატურმორტებს, გრაფიკულ ნამუშევრებს, ხეზე კვეთის ნაკეთობებს, ქანდაკებას, მოზაიკას, ჭედურობას და სხვა, იძლევა იმის საფუძველს, რომ ვაღიაროთ მისი ნიჭიერება, რომ არის უბადლო ფერმწერი, დაუცხრომელი ექსპერიმენტატორი, ახლის მეყსეულად აღქმის საოცარი ალღოთი დაჯილდოებული. მიუხედავად იმისა, რომ იგი საოცრად თავმდაბალი, ნიჭიერი და მრავალმხრივი შემოქმედია, ბატონი თანგული ყოველთვის გამოირჩევა მომთხოვნელობით და ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ უკომპრომისო დამოკიდებულებით. დიახ, თანგული ორთოიძე კაცური კაცის ხიბლით, მოღვაწის და შემოქმედის კეთილშობილებით, დროის შესაფერისი განათლების დონით, ინტელექტით, ადამიანებთან ურთიერთობების საკუთარი ხელწერით, საზოგადოებრივი ინტერესების ყველგან და ყოველთვის წინ წამოწევის და დაცვის უნარით. უანგაროდ ემსახურება მშობლიურ ბორჯომს, რომლის დამშვენებისთვისაც ლომის წილი აქვს შეტანილი, როგორც მხატვარ დიზაინერს, ხეზე კვეთის და მოზაიკის დიდოსტატს. მისი შრომის უნარი გვაძლევს საფუძველს იმისას, რომ კიდევ მრავალი წელი გაახარებს ბორჯომელებს, ძვირფას მეუღლეს ქალბატონ ირინას, შვილებს, შვილიშვილებს და ერთგულ მეგობრებს. დღეგრძელობა და მრავალჟამიერ შენ, ნაღდო ბორჯომელო და დიდებულო ქართველო!

თემურ ხუხუნაიშვილი,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,

ანდრია პირველწოდებულის ეკლესიის მრავალრიცხოვანი მრევლი ულოცავს ტაძრის წინამძღვარს, დეკანოზ
მამა ბერასიმეს
დაბადების დღეს. უსურვებს პირველ ყოვლისა ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, დღეგრძელობას. უფალმა გააძლიეროს და გაახაროს შესანიშნავ მეუღლესა და შვილებთან ერთად. მისი ხელიდან ვიღებთ მაცხონებელ სულიერ საგზალს, მადლობა მას ამ უდიდესი ღვაწლისათვის.

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის ვეტერანი თანამშრომლები დაბადების დღეს ულოცავენ გაზეთის ყოფილ მბეჭდავს
ამირან შალუბაშვილს
და უსურვებენ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

განცხადება

ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში 2023 წლის მსოფლიო სათხილამურო და სნოუბორდის ფრისტაილის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-მოწყობის პროექტი ჩაითვალა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების მქონე პროექტად და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება მითითებული პროექტის არეალში მოქცეულ შემდეგ უძრავ ქონებაზე:

1. ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში „დიდველი“ მდებარე, თამილა მელიფონიერის (პ/60102501447 8) საკუთრებაში არსებულ 1000 კვ.მ ფართის სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 64.30.13.009) სრულად.

2. ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში „დიდველი“ მდებარე, ინგა მიხაილიძის (პ/61100100365 8) საკუთრებაში არსებულ 3000 კვ.მ ფართის სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) დანიშნულების მიწის ნაკვეთსა (ს/კ 64.30.13.084) და 5000 კვ.მ ფართის სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (64.30.13.085) სრულად.

3. ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში „დიდველი“ მდებარე, თამარ ქასრაშვილის (პ/6 60001011435) საკუთრებაში არსებულ 2500 კვ.მ ფართის სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 64.30.04.874) სრულად.

4. ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში „დიდველი“ მდებარე, ანესტი თედიაშვილის, გიორგი თედიაშვილის, თენგიზ თედიაშვილის (პ/6 11001019751), სოფია გრამატიკოპულოს თანასაკუთრებაში არსებულ 2159.15 კვ.მ ფართის სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილზე - 80 კვ.მ-ზე (ს/კ 64.10.09.287).

5. ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანში მდებარე, იაური ჯუირანაშვილის (პ/6 01030001821) საკუთრებაში არსებულ 8874.00 კვ.მ ფართის სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 64.34.01.112) სრულად.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
ნომრის პასუხისმგებელი მორიგე: უშანგი ჯანგირაშვილი.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ№2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თეოდორე მღვდლის ქ№57.
borjomi@inbox.ru
რედაქტორი: ვალერიან ლომაძე

როგორი ეპიდვითარებაა ბორჯომში?!

ყველაზე აქტუალურ კითხვებზე პასუხს, საიდანაც შეიტყობთ, თუ როგორი ეპიდვითარებაა ბორჯომში, „ჯეოჰოსპიტალს“ის ბორჯომის სამედიცინო ცენტრის დირექტორი ირაკლი ღლისამიძე პასუხობს.

– თქვენი მონაცემებით, დაახლოებით, დღიურად რამდენ ადამიანს უდასტურდება ვირუსი ბორჯომში? და რამდენი მოქალაქე მოგმართავთ დღეში ტესტირებისთვის?

- 24 იანვრის მონაცემებით, ჩვენს სამედიცინო ცენტრში სწრაფი ანტიგენ ტესტით კვლევა ჩაუტარდა 275 ადამიანს, საიდანაც 20 დაუდასტურდა კოვიდ ინფექცია, ამავე დღეს ლაბორატორიაში გაიგზავნა დამატებით 140 PCR ტესტის ნიმუში, რომლის პასუხიც ცნობილი იქნება მომდევნო დღეს.

– ამ ეტაპზე, როგორი ვითარებაა საავადმყოფოში? რამდენი კოვიდ პაციენტი მკურნალობს?

- დღეის მდგომარეობით დაწესებულების კოვიდ საწოლფონდი შეადგენს 51 ადგილს, სადაც დაკავებულია ამ ეტაპისათვის 36 საწოლი, აქედან ინტენსიურ განყოფილებაში მკურნალობას გადის 5 პაციენტი.

– მედპერსონალთა ინფიცირების მხრივ, ხომ არ გაიზარდა რაოდენობა და როგორია კადრების მხრივ თქვენი მზადყოფნა? ხომ არ უნდა ველოდოთ ეპიდვითარების გაუარესების შემთხვევაში კადრების დეფიციტს?

- ამ ეტაპისათვის პერსონალთა ინფიცირების მხრივ კარგ მაჩვენებელს ვინარჩუნებთ, დაწესებულების 180 თანამშრომლიდან ინფიცირებულია მხოლოდ 5 თანამშრომელი, ამ ყველაფერს განაპირობებს ის ფაქტორი, რომ მათი უმრავლესობა ვაქცინირებულია სამივე დოზით.

– წინასწარი რეგისტრაციის გარეშე შეუძლიათ მოქალაქეებს მომართონ და გახდნენ ვაქცინირებულები. რომელი ვაქცინით შეუძლიათ აიცრან ბორჯომის „ჯეოჰოსპიტალსში“ და როდის?

- მოსახლეობას შეუძლია კვირის ნებისმიერ დღეს გარდა შაბათ-კვირისა მოგვმართოს რეგისტრაციის გარეშე და ჩაიტარონ ვაქცინაცია ფაიზერის სინოვაკისა და სინოფარმის ტიპის ნებისმიერი ვაქცინით.

– რამდენი მოქალაქეა ბორჯომში მესამედ ბუსტერ დოზით აცრილი?

- დღეის მდგომარეობით ბუსტერ დოზით ვაქცინირებულთა რიცხვი წარმოადგენს 260 ადამიანს.

– როგორია კონტროლის მექანიზმი, ტესტირებისას წარმოქმნილი რიგების შემთხვევაში?

- რიგების მართვის თვალსაზრისით, კოვიდ აფეთქების პერიოდში, ჩვენ დამატებით განვახორციელეთ კადრების მობილიზება, რაც გამოიხატება იმაში, რომ გასულ პერიოდში თუ ორი ნიმუშის ამღები ემსახურებოდა ტესტირების ზონაში პაციენტებს, ამ ეტაპისათვის მიმაგრებულია 5 ლაბორატორიის თანამშრომელი.

– და ბოლოს, რამდენი ბორჯომელია გამოჯანმრთელებული?

- ბორჯომის სამედიცინო ცენტრის ჰიბრიდულ დაწესებულებად გადაკეთების დღიდან დღემდე გამოჯანმრთელებულია და დამაკმაყოფილებელი მდგომარეობით ბინაზე გაწერილია სულ 1400 პაციენტი.

იზა იანვარაშვილი

წყალი მკურნალობის საუკეთესო საშუალებაა

ეს სასმელი ყველაზე ეფექტურია და არაფერი დაგემართებათ - ლევან რატიანი კორონას მკურნალობის საუკეთესო საშუალებას ასახელებს!

- პირველ რიგში უნდა დავიტვირთოთ სითხით, რადგან ვირუსს ახასიათებს ჭარბი ოფლიანობა, შესაბამისად, სითხის დაკარგვის შემთხვევაში ადამიანი განიცდის სითხის დეფიციტს. რომ არ წავიდეს პათოლოგიური პროცესი უნდა მივიღოთ ბევრი სითხე, - განაცხადა რატიანმა.

გარდა ბევრი სითხის მიღებისა, ლევან რატიანის თქმით, აუცილებელია პაციენტებმა ტუტე გარემოს შესაქმნელად ყოველ ორ საათში პირისღრუში სოდიანი წყალი გამოიყენონ.

- როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, კორონავირუსის გავრცელებას ხელს უშლის ტუტე გარემო, ამიტომ ვივლებთ ყოველ ორ საათში სოდიან წყალს, - განაცხადა რატიანმა.

ამასთან, ლევან რატიანმა აღნიშნა, რომ პაციენტებისთვის გაზიანი მინერალური წყლის, მაგალითად „ბორჯომის“ მიღებაც სასარგებლოა.

ვანგას წინასწარმეტყველება

„აღმოსავლეთიდან მოსული უბედურება ისევ გააგრძელებს სიცოცხლის წაღებას... დედამიწა დასვენებას შეძლებს... ადამიანები გამდიდრდებიან“.

გლობალური აღმოჩენა და ეკონომიკური კრიზისის დასასრული - როგორი იყო ვანგას წინასწარმეტყველება, რომელიც ექსპერტების თქმით, კორონავირუსს უკავშირდება და სადაც ვანგას პროგნოზი დამაიმედებელი ჩანს მოსახლეობის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით.

მისი თქმით, 2022 წელს მსოფლიოს გლობალური, უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა ელის. მაგრამ რომელ სფეროში, ცნობილი არ არის. თავად ვანგა ამ აღმოჩენას **„მზეზე უფრო ძლიერ ენერგიის წყაროდ“** მოიხსენიებს. ბულგარული გამოცემის ექსპერტები კი, დარწმუნებულები არიან, რომ საუბარი თერმობირთვულ კვლევებს ეხება. ვანგა ასევე ამბობდა, რომ 2022 წელს **„დედამიწა დასვენებას შეძლებს“**, რადგან განსაკუთრებული ენერგია **„ვენერას მხრიდან მოვა“**. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს წინასწარმეტყველება უნდა უკავშირდებოდეს ამ წელს ბუნებრივი კატაკლიზმების ნაკლებობას. რაც შეეხება ვანგას წინასწარმეტყველებას, რომელსაც ექსპერტები კორონავირუსს უკავშირებენ, აქ ბულგარელი ნათელმხილველი ამბობს, რომ 2022 წელს აღმოსავლეთიდან მოსული უბედურება ისევ გააგრძელებს სიცოცხლის წაღებას. მაგრამ, ადამიანები ამას შეეგუებიან. ვანგას საიმედო პროგნოზიც აქვს, კერძოდ, 2022 წელს მსოფლიოში პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი დასრულდება და ბევრი ადამიანი გამდიდრდება.

გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ რედაქციის ყოფილ თანამშრომელს დათო გვრიტიშვილს დედის
თინა ხაჩიძის
გარდაცვალების გამო.